შეთანხმება

ქ. ბაღდათი 05.10.2022

ერთის მხრივ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ლელა ფურცელაძის სახით და მეორე მხრივ, ბენეფიციარი [redacted] შემდგომში „მხარეები“ ესწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარების, განმტკიცების და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ, თანხმდებიან შემდეგზე:

1. საერთო ინტერესები

1.1 მჭიდროდ ითანამშრომლონ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პროგრამის „ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების“ ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მიზნების შესრულების მიზნით.

2. მხარეთა ინტერესები და სარგებელი

2.1 **ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური** - შესაძლებლობის ფარგლებში, საქმიანობიდან გამომდინარე: უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით;

2.2 ბენეფიციარი [redacted] იღებს ვალდებულებას:

2.2.1 ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 03 სექტემბრის N 41 913 ბრძანებით შექმნილი მუნიციპალიტეტის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2022 წლის 04 ოქტომბრის N37 სხდომის ოქმით განსაზღვრული თანხა 800 (რვაასი) ლარი გამოიყენოს მიზნობრივად წვრილფეხა პირუტყვის (ორი ცხვარი) შესაძენად;

2.2.2 მოუაროს, შეინახოს და დაიცვას მავნე ზემოქმედებისაგან ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაცემული წვრილფეხა პირუტყვი (ორი ცხვარი);

2.2.3 გაუფრთხილდეს და შეუქმნას მოვლისთვის სათანადო პირობები გადაცემულ საქონელს;

2.2.4 მიღებული შემოსავალი გამოიყენოს ოჯახის კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და დამატებითი მატერიალური დოვლათის შექმნის მიზნით;

2.2.5 არ მოახდინოს გადაცემული საქონლის გასხვისება მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობისა და წინასწარი ნებართვის გარეშე ;

2.2.6 მიაწოდოს ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს გონივრულ ვადებში წარმოქმნილი მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შესახებ;

2.3 **ბაღდათის მუნ**იციპალიტეტის **მერია** იღებს ვალდებულებას:

2.3.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი შეძენილი საქონლის და საქონლის მოვლის მდგომარეობის შესწავლის მიზნით;

3. შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა:

3.1. შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღად ითვლება მხარეთა მიერ შეთანხმებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღე;
3.2. შეთანხმების გაუქმება დაშვებულია მხარეთა შეთანხმებით;
3.3. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაშვებულია მხოლოდ წერილობითი სახით (ურთიერთშეთანხმებით);

3.4. ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;
3.5. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

4. მხარეთა რეკვიზიტები

ლელა ფურცელაძე

[redacted]

წარმომადგენელი სახელი/გვარი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია	ბენეფიციარი სახელი/გვარი
ხელმოწერა	[redacted] ხელმოწერა